ცნობის ფურცელი

№ 1832 კვირა, 9 ივნისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1832

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვაჩნაძის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ამ ნომერთან ხელის-მომწერლებს ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-44 №-რი

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ ივნისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 4 მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ ბედიმანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. ბედიმანიშვილი—ნერვების 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. ბედიმანიშვილი—შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 საა თ.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

მრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274. (წლ.)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმოს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ბორჯომში

ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^1/_2$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

ქ. სიღნაღში

კიევის უნივერსიტეტის ბავშთა კლინიკის ასსისტენტი

ე ქ ი მ ი

ა. ი. გაღარჯაშვილი

მიიღებს ზაფხულის განმავლობაში 20 აგვისტომდე ბავშვთა და შინაგან სენით შეპყრობილ ავადმყოფთ. (15—2)

სასწავლებელი და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ბავშვებს საშუალო სასწავლებლებისათვის (გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხ.(

აქვე ამზადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორედ გამოცდა, (переэкзаменовка). ვერა, სლეპცოვის ქუჩა. № 13. ზემმელის აფთიაქის მახლობლად. (10—330—7)

ქ. გორში,

ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე

ტურაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს ავადმყოფებს: შინაგანთა, საბავშო და თვალის.

სახალხო თეატრი

დღეს, 11 საათზე, ქართულის თეატრის ფოიეში დანიშნულია სახალხო წარმოდგენების მოღვაწეთა კრება. უნდა განხილულ იქნას წარსული წლის ანგარიში და მომავალ მოქმედების პროგრამა.

ისე ღრმად და მალე არც ერთს დაწესებულებას არ მოუკიდებია ფეხი ჩვენში, როგორც სახალხო თეატრის საქმეს. სახალხო წარმოდგენები პერიოდულად იმართება ტფილისში და ქუთაისში; წარმოდგენებს ყოველთვის მრავალი ხალხი ესწრება, ბევრი უადგილობისა გამო თეატრის გარედ რჩება.

სახალხო თეატრების ცხოველმყოფელობა აიხსნება იმ მტკიცე ნიადაგით, რომელიც მოეპოვება მას ძირს: ცხოვრებაში გამოვიდა ახალი ელემენტი—ხალხი, რომელსაც ღრმა წყურვილი აქვს გათვით-ცნობიერებისა და განვითარებისა. დაწესებულება, რომელიც ემსახურება ამ საქმეს, მუდამ ცოცხალი იქნება; ისეთი დიდი ნაყოფი არსად არ შეიძლება მოიტანოს მოღვაწეობამ, როგორც აქ; ნამდვილი საერო საქმე დღეს არის ხალხის საქმე; ვინც ხალხს ემსახურება, უადვილებს მას შეგნებულ გზაზე გამოსვლას, ამზადებს თვით-მოქმედებისათვის, იგი ჰქმნის დაუვიწყარს საქმეს, მას მივყევართ ღონიერ და შეგნებულ ერისაკენ.

სახალხო თეატრს გაფართოვება ექირვება. „დრამატიულმა საზოგადოებამ“ ხელი გაუწოდა ხალხის მოთხოვნილებას და შარშან კვირაში თითო წარმოდგენას მართავდა „ხალხისათვის“, მაგრამ ეს წარმოდგენები არ იყო მთელის ხალხისათვის მისაწდომი, 20—50 კაპ-ს ყველა ვერ გადაიხდის. თუ გვინდა ნამდვილი სახალხო წარმოდგენები, წარმოდგენაზე შესვლა უნდა იყოს ან მთლად უფასო ან 5—7—10 კაპ. ამიტომ, რაკი ეს არ შეუძლია „დრამ. კომიტეტს“ დღესდღეობით, საჭიროა „სახალხო წარმოდგენების“ კომისიის განვითარება და გაძლიერება. კომისია ჰმართავს თითქმის უფასო წარმოდგენებს, რადგან როგორც მისი წევრები, ისე გარეშე პირებიც უფასოდ ეწევიან შრომას. კომისიის მოღვაწეობის განვითარებისათვის საჭიროა, რომ მეტი მოღვაწეები ჰყავდეს მას და მეტის თანაგრძნობით ეპყრობოდეს საზოგადოება. ყველას საყვარელ საქმედ უნდა მიაჩნდეს სახალხო თეატრი, ყველამ შეიგნოს მისი დიადი მნიშვნელობა, დაეხმაროს შეძლებისდა გვარად, მაშინ კომისია შეიძლებს უფრო ხშირად გამართოს წარმოდგენები და არა ერთს ალაგას, არამედ ქალაქის სხვა-და-სხვა მხარეებში და მასთან უკეთა და უკეთ მოაწყოს წარმოდგენები ხელოვნების მხრითაც.

ვ.

საზღვარ-გარედ

ავსტრო-უნგრეთი. აი ერთი ადგილი ჩეხელ დეპუტატის კლოფაჩის სიტყვისა, რომელიც შეეხება იმპერატორ ვილჰელმის ნათქვამს პოლონელთა წინააღმდეგ:

გერმანიის ყმაწვილი იმპერატორი საჯაროდ მეთაურად გაუხდა პანგერმანიზმის პროპაგანდას და ისეთი სიტყვები იხმარა, რომელნიც დღემდე მხოლოდ აგიტატორთა პირიდან გვსმენია. როდესაც უბრალო ადამიანი ლაპარაკობს „პოლონელთა თავწასულობაზე და სარმატთა მუქარა“-ზე, მაშინ ეს მხოლოდ უზრდელობის ნიშანია. მაგრამ როდესაც ამ გვარად ლაპარაკობს იმპერატორი, რომლის დინასტიისათვის სედანში პოლონელებმა დიდი სისხლი დაჰღვარეს, ეს იმას ნიშნავს, რომ თავწასულობა და მუქარა იქ კი არა, სხვაგან ყოფილა. იმპერატორმა ქვეყანას თავი აჩვენა არა მარტო როგორც პანგერმანისმის ფონატიკოსმა, არამედ ისიც

ფელეტონი

ქალაქის საქმეები და ერთა ურთიერთობა ჩვენში.

(გ. მ. თუმანოვის წიგნის შესახებ *)

ბ. თუმანოვის წიგნში 12-მდე სხვა-და-სხვა დროს დაწერილი სხვა-და-სხვა წერილია: ყველას საგანი ერთია, ის, რაც ზევით ამოვწერეთ სათაურად.

წიგნი ყველასათვის საინტერესოა. შეიძლება დაეთანხმოთ ავტორს, შეიძლება—არა, მაგრამ სიამოვნებით კი წაიკითხავთ მის წიგნს. იგი ეხება ერთს ჩვენ მწვავე კითხვათაგანს, რომლის შესახებ ყოველივე აზრი ინტერესით უნდა მოვისმინოთ. სამწუხარო ის არის, როდესაც არაფერი ითქმება და უთანხმოება და უკმაყოფილება გულჩახვეულად, დაფარულად არის, თორემ როდესაც ჩვენ ჩვენს აზრებს გამოვსთქვამთ და გულახდილადაც, მაშინ საგანი ადვილად გამოსარკვევია და კითხვა იოლად გადასაწყვეტი.

ბ. თუმანოვი ერთა თანხმობის და ერთობის მომხრეა, მისის აზრით ეროვნული განხეთქილება არ არსებობს ჩვენში, თუ არის რამ უთანხმოება, ეს არის მხოლოდ პირ-ბადე კლასიურის უთანხმოებისა. რითი არღვევს ავტორი მოწინააღმდეგე შეხედულებას? მცხოვრებთა რიცხვის და ხმოსნების რიცხვის შორის უთანასწორობა მარტო ტფილისში კი არ არის, არამედ კავკასიის სხვა ქალაქებშიც—ბათუმში, ბაქოში, კავკავში. მაგალითად ტფილისში სომხები შეადგენენ მცხოვრებთა 47%; ქართველები—28, ბათუმში—სომხები 24, ქართველები—25, ბაქოში სომხები 28, თათრები 43; სომხის ხმოსნები კი შეადგენენ ტფილისში 72%, ქართველები—4, ბათუმში სომხის ხმოსნები 15%, ქართველი—44, ბაქოში—სომხის 35, თათრის—51 და სხ. მაგრამ ერთი რომ აქ ციფირები სწორეთ არ არის შედარებული: მცხოვრებთა რიცხვი აღებულია 1886 წ. და ხმოსნების 1897 წ. ეს შესამჩნევად ამახინჯებს სინამდვილეს, რადგან მაგ. 1897 წ. სომხები ტფილისში შეადგენდნენ მხოლოდ 38% (და არა 47, როგორც იყო 86 წ.). თუ ავტორი არ ენდო 1897 წ. მცხოვრების რიცხვს, მაშინ ხმოსნების რიცხვიც 86 წლის მოეყვანა. ბათუმშიც დღეს ქართველები გაცილებით მეტია, ვიდრე იყო 1886 წ. მერე, თუნდ სრულიად ნამდვილი რომ იყოს ბ. თუმანოვის ციფირები, მაშინაც რას გვიმტკიცებენ ისინი? მხოლოდ იმას, რომ ეროვნული უთანხმოება, თუ განხეთქილება არსებობს არამც თუ ტფილისში, არამედ სხვაგანაც.

არის მეორე უბრალო და ცხადი მიზეზიო, ამბობს ავტორი, თუ რისთვის არიან ცოტანი ქართველები ტფილისის საბჭოში: ქართლელები და კახელები სასოფლო მეურნეობის და იარაღის ხალხია, არ ეინტერესებათ ქალაქის არჩევნებიო.—ეს ძველის დროის ამბავია; ახალი სულ სხვას გვეუნება. 1897 წელს ქართველები შედარებით ხელ-გამოღებულნი იყვნენ, ძალიანს სცდილობდნენ ხმოსნობას; შეიძლება მათის უტაქტიკობის და სხვა მიზეზის ბრალი იყო, რომ ისინი ვერ გავიდნენ ხმოსნებად, თორემ არა მათის უინტერესობის. 1897 წ. ქართველთაგან 512 ამომრჩეველში არჩევნებს დაესწრო 203 კაცი, სომეხთაგან 1301 ამომრჩეველში—642. როგორც ვხედავთ, აქ ინტერესის გამოცხადებაში დიდი განსხვავება არ არის. საზოგადოთ, განა ტფილისის საბჭოს ცოტა ახსოვს მუშა და ენერგიული ქართველი ხმოსანი? ან ვინ იყვნენ ის მსხვილი კომერსანტები, რომლებიც (ავტორის სიტყვით) საბჭოს სხდომას წელიწადში მარტო 2—3 ჯერ ესწრებოდნენ ამ 10—15 წლის წინად და ისიც იმიტომ, რომ „თავისიანისათვის“ თეთრი კენჭი მიეცათ? დღევანდელი ხმოსნებს დიდი უმრავლესობა სომხებია, და განა ეტყობათ მათ ქალაქის საქმეების ინტერესი, როდესაც მაგ. წარსულ კვირას 4 თუ 5 ჯერ დაინიშნა საბჭოს სხდომა და არც ერთჯერ კი არ შესდგა ხმოსნების დაუსწრებლობის მიზეზით? ჩვენის აზრით, ამ უინტერესობის მიზეზი თავის-თავად არც ერთი ეროვნობა არ არის.

ჩვენც ერთა ერთობის მომხრე ვართ, მაგრამ არა გვგონია ამას მივაღწევდეთ თითქმის ეროვნულის პიროვნების, სხვა-და-სხვაობიას და უთანხმოების უარ-ყოფათ. ბ. თუმანოვს მეტის-მეტად აშინებს ეროვნული უთანხმოება, ეძნელება ამ სიტყვის თქმაც, თითქოს ამით გაუთავებელი ბრძოლა ასტყდებოდეს, ერთმანეთის ჟლეტა, ხოცვა დი ყოველ-გვარი უბედურება. რაღაც საოცარ ლიბერალურ-თეორეტიულ მოსაზრებისა გამო იგი ვერ ჰხედავს სულ უბრალო და აშკარად არსებულს მოვლენებს. შეიძლება იმის უარ-ყოფა, დაფარვა, რომ ყოველ ერს აქვს თავისი ენა, ზნე-ჩვეულებანი, ხასიათი, კულტურა, რომ ყველაფერი ეს ჰაერში კი არა ჰკიდია, არამედ გამოიხატება ადამიანთა მოქმედებაში, სხვა-და-სხვა დაწესებულებაში, რომ როდესაც ერთად სცხოვრობენ მეზობლად ერები და ნამეტურ, როდესაც ისინი განვითარების დაბალ საფეხურზე სდგანან, ხშირად მოუვათ ერთმანეთთან უთანხმოება? რომ როდესაც რომელიმე ერი ეკონომიურად ძლიერია, იგი ყოველთვის სჩაგრავს მეზობელს ქონებრივად სუსტს ერს და მათ შორის აუცილებლივ იქნება შეტაკება? თუ ეკონომიური დაჩაგვრა ყოველთვის ჰბადავს მტრობას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ჩაგრული და მჩაგვრელი სხვა-და-სხვა ერის არიან. საშუალო საუკუნოებში ჩეხელები, განურჩევლად წოდებისა და ქონებისა, შეერთდნენ იმიტომ, რომ ყველანი ჩეხელები იყვნენ, და წინა-აღუდგნენ გერმანელ მემა-

---

*) Замѣтки о городскомъ самоуправленіи на Кавказѣ. 1902 г.

დაამტკიცა, რომ იგი სრულიად მოკლებულია ყოველ ტაქტსა.

იმპერატორს მარტო პოლონელებზე არ ულაპარაკნია. ავსტრიის უმაღლესი წარჩინებული გვამის თანადასწრებით, მან მოიწვია თავის იმპერიის და მის გარეშე მყოფი ყველა გერმანელი და საჯვაროსნო ომი გამოუცხადა სლავიანებს. მორიდებას აქ არავითარი ადგილი აღარა აქვს. მთავრობის მოვალეობაა, ენერგიული პროტესტი გამოაცხადოს ასეთი სიტყვების წინაღმდეგ როგორც არა-გერმანელ ერთა, ისე საკუთარი ინტერესის დასაცავად.

ვიწვევთ რა პალატის თავმჯდომარეს, რომ მან მინისტრის ყურადღება მიაქციოს ამ ინტერპელლიაციას, ჩვენ ამით გვსურს პასუხი გავცეთ მარიენბურგის სიტყვის უსირცხვობას.

ასეთი დასკვნის შემდეგ თავმჯდომარემ საბოლოოდ წაართვა სიტყვა ორატორს. ხოლო ჩეხელმა რადიკალებმა ლანძღვით მოიხსენიეს გერმანიის იმპერატორი და ჰყვიროდნენ: „ძირს, ვილჰელმ II! მას მოჰკლავენ!“-ო.

სამხრეთ-აფრიკა. კრიუგერის შესახებ ამბობენ, რომ იგი სამუდამოდ დარჩება უტრეხტშიო. გაიგეს თუ არა კრიუგერის მახლობლებმა ზავის შეკვრის ამბავი, მაშინვე გარდასწყვიტეს პრეზიდენტის ჰოლლანდიაში დარჩენა, რადგან ზღვით მოგზაურობა ცუდად იმოქმედებდა მის ჯანმრთელობაზე და აოხრებულ და განადგურებულ სამშობლოს დანახვა მეტად მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა მხცოვან პრეზიდენტზე. კრიუგერი ამას ვერ აიტანსო. მასთან რჩება მისი ქალი ელოფ, სიძე კი საქმეებისა გამო დაბრუნდება ტრანსვაალში. ვიდრე იქ სამხედრო დიქტატურა არსებობს, ყველამ, ვინც კი დაბრუნდება, ფიცი უნდა მიიღოს.

აქამდე უტრეხტში კრიუგერის სახლის ბანზე ორი ბაირაღი იყო აფრიალებული: ერთი ტრანსვაალისა და მეორე ორანჟეს თავისუფალ სახელმწიფოსი. ახლა ორივე ჩამოუხსნიათ.

ინგლისი. ირლანდიის პატარა ქალაქ არმაში ამ დღეებში ძეგლი დაუდგეს ერთ ირლანდიელს, რომელიც ბურებთან ერთად ეომებოდა ინგლისელებს და რომელიც მოჰკლეს ერთს ბრძოლაში. ხალხი მრავალი მოვიდა ახლო-მახლო ადგილებიდან. დეპუტატად ყოფილმა მიკაელ დევიტტმა სიტყვა წარმოსთქვა და ირლანდიელებს მიუთითა ბურების მაგალითზე, რომელთაც, მიუხედავად თავის სიმცირისა, უფრო მეტი პატივისცემა დაიმსახურეს ინგლისელებისა, ვიდრე ირლანდიელებმაო. დევიტტის სიტყვამ ისე ააღელვა ხალხი, რომ ძეგლთან აღარ დააყენა პოლიცია და მთავრობის რეპორტერი. ამის შემდეგ პოლიციის ინსპეკტორი მოვიდა შეიარაღებული მცველებით. ჯერ მცველებმა გარეკეს ხალხი, მაგრამ შემდეგ ბრბო მიაწვა პოლიციას და ადგილიდან დასძრა. „ჩამოახრჩეთ ეგენიო!“ ჰყვიროდნენ.

საფრანგეთი. ახალ სამინისტროს ჯერ დრო არა ჰქონდა, რომ საქმით გაეცნობებინა თავისი-თავი, მაგრამ მისი დეკლარაცია სრულებით საკმარისი იყო, რომ ნათლად გამორკვეულიყო, თუ როგორ მოეკიდება მას სხვა-და-სხვა ჯგუფი პარლამენტისა. კომბმა, მინისტრთა თავმჯდომარემ, პირდაპირ გამოაცხადა, ჩვენი პოლიტიკა არის პოლიტიკა კლერიკალიზმის და ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისაო. და ამაზე რიბომ, (ზომიერია) საყვედური უთხრა, რომ თქვენ უარს ჰყოფთ შემარიგებელ პოლიტიკასაო და თქვენის მოწოდებით საქმეს მხოლოდ ამწვავებთო. ის ემჯობინებოდა, რომ საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუდგებოდეთ და საჭირო რეფორმებს მოახდენდეთო. როდესაც საქმე ნდობის გამოცხადებაზე მიდგა სამინისტრომ, რასაკვირველია, მემარცხნე ჯგუფთა ფორმულა მიიღო. ჟორესის, კოდესი, სარიენის და გუზისა. ამ ფორმულას 309 თეთრი ამოუვიდა და 117 შავი. 149 მონაწილეობა არ მიიღეს კენჭის ყრაში; ესენი ეკუთვნიან ზომიერ რესპუბლიკელთ. მათ ჰსურდათ ამით ეჩვენებინათ, რომ ისინი არ ეკუთვნიან მემარჯვენეთ, რომელთაც პირდაპირ გამოუცხადეს სამინისტროს თავისი წინააღმდეგობა. სხვათა შორის, არ მიიღეს მონაწილეობა შეურიგებელ სოციალისტთა, რომელთაც მიემხრო რუანე და ექვსი რადიკალი, მათ შორის ბრისონი და ბოდენი, რომელსაც წარსულ სამინისტროში საზოგადო სამუშაოთა პორთფელი ეჭირა.

ახალი ამბავი

◆ პროფესორი ვ. პეტრიაშვილი გუშინ ჩამოვიდა ტფილისში თავისი თანამგზავრებით და გაჩერდა სათავად-აზნაურო სკოლაში. ტფილისში დარჩება სამი დღე.

◆ გუშინ, 8 ივნისს, ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ იმისაგან დაწუნებული პროექტი **ელექტრონის ტრამვაისა** სრულიად ეთანხმება კომისიისა და ქალაქის გამგეობის შეერთებულ სხდომის გადაწყვეტილებას. უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი აცხადებს, არ მესმის, რა ცვლილებანი უნდა იქმნეს შეტანილი პროექტშიო. ამიტომ საჭიროდ მიაჩნია დანიშნოს გამგეობამ მის თანადასწრებით სხდომა, რათა ეს საგანი ნათლად გამოირკვეს.

◆ თევზით მოვაჭრე კამოევი მორიგებია მადათოვის კუნძულზე სავაჭრო მაღაზიების პატრონებს, რომ შეისყიდონ მისგან ადგილი, რომელიც 420,000 მანეთად არის დაფასებული. ამასთან დაუვალებია ქალაქის ტეხნიკოს ალამჯანოვისთვის შეადგინოს გეგმა დუქან ბაზრისა, რომელიც უნდა გაშენდეს ამ მამულის ბოლოში თ. მუხრანბატონის მეზობლად. სხვათა შორის, ამ ალაგზე ააშენებენ ხორცის დუქნებს, ფრინველისა და ნადირით სავაჭროს და მწვანილეულობათა ბაზარს.

◆ კავკასიის მთავარ-მართებელს წარუდგინეს დასამტკიცებლად **მეფარეულთა ამხანაგობის** წესდება.

◆ პარასკევს, 7 ივნისს, ქალაქის გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით **სხდომა ჰქონდა** ტფილისის ხორცის დუქნების მომწყობელ კომისიას. კომისიას უნდა განეხილა ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროს ზედამხედველის ანგარიში პირველ დუქნის შემოსავლის შესახებ და ამის მიხედვით შეემუშავებინა წესი შემოსავალ-გასავლის წიგნების წარმოებისა. რადგანაც სხდომაზე გამოირკვა, რომ ალიხანოვისაგან წარდგენილი ანგარიში არ იყო ისეთი, როგორიც კომისიამ მოითხოვა, ამ უკანასკნელმა დაავალა ალიხანოვს ხელ-ახლა შეადგინოს ანგარიში ისე, როგორც კომისია თხოულობს, და წარუდგინოს მას ახლო მომავალში.

◆ ორშაბთს, 10 ივნისისათვის დანიშნულია ტფილისის ქალაქის საბჭოს **მორიგი კრება**.

◆ გუშინ, 8 ივნისს ტფილისის **გუბერნატორი შეეკითხა** ტფილისის ქალაქის გამგეობას, შეიტანეთ თუ არა ამა მიმდინარე წლის ხარჯთ- აღრიცხვაში ის თანხა, რომლითაც ნავთლუღის სამხედრო გოსპიტალთან მისასვლელი გზა უნდა გაკეთდესო.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების **საბჭოს სხდომა** 7 ივნისს არ შესდგა. ახალი კრება 11 ივნისისათვის დაინიშნა.

◆ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა მისწერა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რადგანაც სომეხთა რვა სამრევლო-საეკლესიო **სკოლა** გადავიდა სახალხო დირექციის ხელში, ამიტომ გთხოვთ ამ სკოლების ქონება-მამულების საქმეების შესახებ ჩვენ მოგვმართოთო. ამასთანავე დირექცია სთხოვს ქალაქის გამგეობას ეპატიოს ამ სკოლების მამულებზედ დარჩენილი და დასაფასებელი გადასახადი, რადგანაც ამ მამულებს არაფერი არა აქვთო.

◆ გუშინ, 8 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნული იყო განსახილველად საქმე ნახიჩევანის მაზრის მომრიგებელ შუამავლად ნამყოფის ნიკოლოზ **რომანოვსკისა**, რომელსაც ბრალდებოდა თავისთან მცხოვრებ ლესკოვის ქალის მოკვლა. ერევნის ოლქის სასამართლოს რომანოვსკი დამნაშავედ უცვნია და გარდაუწყვეტია იმისთვის ყოველისავე განსაკუთრებულ უფლებათა ჩამორთმევა და 5 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. გუშინ პალატის სხდომის დაწყებისათანავე ბრალდებულმა ნ. რომანოვსკიმ განაცხადა: მე მივიღე წერილი ერევნის საგუბერნიო ექიმისაგან იმის შესახებ, რომ ექსპერტ ბადრიძის აზრი გარდაცვალებულ ლესკოვის გვამის შემოწმების შესახებ ამოფხეკილია და ოქმში ბრალმდებლის ამხანაგის ხელით ჩაწერილია სულ სხვა აზრი, რაიცა გამოაშკარავდა ოლქის სასამართლოს მიერ საქმის გადაწყვეტის შემდეგაო. ამასთან რომანოვსკიმ სთხოვა პალატას მოწმეებად დაიბაროს ექიმი ბადრიძე და საგუბერნიო ექიმი. საქმის გადადება ითხოვა აგრეთვე ბრალდებულის ვექილმა გ. ი. გრუზენბერგმა. ამას გარდა გრუზენბერგმა მოითხოვა საქმის გამოსარკვევად მოწვეულ იქმნეს პალატაში გამოცდილი ქირურგები. ბრალმდებელი თანახმა გაუხდა ამ აზრს.

ნახევარ საათის თათბირის შემდეგ პალატამ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც შეწყნარებულ იქმნა ბრალდებულისა და იმის ვექილის თხოვნა და საქმის განხილვა სხვა დროისთვის გადაიდვა.

◆ 6 ივნისს, მიხეილის სამკურნალოში, როგორც წინა წლებში, პანაშვიდი იყო გარდახდილი **თ. ევსევი ალექს. ძის ბეგთაბეგოვის** სულის მოსახსენებლად, რომლის ანდერძის თანახმად წელსაც მისმა დამ, კნეინა ნინო ბეგთაბეგოვისამ, შემოიტანა სამკურნალოში 1000 მან.; ეს ფული უნდა მოხმარდეს იმ საწყალ-ღატაკ და გაჭირვებულთ, რომელნიც მოკლებულნი არიან მორჩენის შემდეგ სახსარს ცხოვრებისას, ან შინ წასასვლელად ფული არა აქვთ.

მღვ. ვ. კარბელაშვილმა აუხსნა დამსწრე მლოცავ ავადმყოფთ მიზეზი და მიზანი პანაშვიდისა.

პანაშვიდს დაესწრნენ უფროსი ექიმი ბ. პავლოვსკი, ზედამხედველი სამკურნალოსი დაშკევიჩი და სხვანი.

◆ წელს ტფილისის **სახელოსნო სასწავლებელში** ეგზამენები დასრულდა 4 ივნისს. სწავლა დაამთავრა სულ 38 მოსწავლემ; მათ შორის: 13 რუსმა, 10 სომეხმა 1 ოსმა და 14 ქართველმა; აი ქართველების ვინაობა: ბიდანაშვილი კონსტ., ბოჭორიძე აკაკ., გარდამაშვილი იაკ., გაშაკიძე ალექ, გაშაკიძე კონსტ., გაბრიჭიძე ერმ., გორგოძე ვარლ., კანდელაკი გედ., მარგველაშვილი ანტ., მაჭავარიანი ვარ.,

---

მულებს და რომის ეკლესიას, რომლებიც მათ სჩაგრავდნენ, დღეს გერმანელი მექარხნე უპირატესობას აძლევს გერმანელ მუშას ვიდრე ჩეხელს, რიგაში ლატიში თხოულობს, რომ ქუჩებზე წარწერა, თუ გერმანულად არის, ლატიშურადაც იყოსო და სხ.-და-სხვ. ამისთანა ამბები ჩვეულებრივი არ არის და ყოველ-დღე არ ვხედავთ მათ? რად უნდა დავმალოთ, რად უნდა შეგვაშინოს იმან, რაც არსებობს? განა რომ შეგვეშინდეს და სირაქლემასავით თავი დავმალოთ, ამით საქმეს ეშველება? ჩვენ და სომხებს შორის არის უთანხმოება და განხეთქილება, უსარგებლოდ თავს ნუ მოვატყუილებთ, და პირ-და-პირ შევხედოთ ამ უთანხმოებას. ჩვენის აზრით იგი არ არის მარტო ეკონომიური; მაგრამ მარტო წმინდა ეკონომიურიც რომ იყოს, ამით განა ისპობა ეს უთანხმოება?

სულ სხვა საკითხია მეორე საკითხი—რომ ჩვენ და სომხებს გვაქვს საერთო ინტერესები, საერთო საქმეებიც, საერთო მოქმედების ნიადაგიც, რომ დღევანდელი უთანხმოება თან-და-თან შესუსტდება, შემუშავდება სამართლიან ურთიერთობის modus vivendi და დამყარდება სრული ერთობა. მაგრამ ვისაც უნდა ამ ერთობას ემსახუროს, მან არ უნდა დამალოს, რაც დღეს აშკარად არის. 1893 წ. სომხები ფარულად მოქმედობდენ ქართველების წინააღმდეგ და უნდოდათ, რაც შეიძლება ცოტა გაეყვანათ ქართველი ხმოსნები, ამგვარადვე მოქმედობდენ 1897 ქართველები; ამ წელს ორი უკიდურესი პარტია შეეტაკა ერთმანეთს—ქართველ-რუსის და სომხის, გაიმარჯვა უკანასკნელმა. ბ. თუმანოვის აზრით პირველ მტრობის (1891) ატეხა ქართველებს ედებათ ბრალად ვსთქვათ, აგრე იყოს (რადგან ქართველები სუსტს მხარეს წარმოადგენენ), მაგრამ ქართველებს მაშინდელი უკმაყოფილება ციდან ჩამოვარდა და სრულიად უსაფუძვლოა? ხომ იყვნენ ასეთი სომხები, რომლებიც მხარს უჭერდენ ქართველებს?...

ეროვნულის უთანხმოების შიშის გამო ბ. თუმანოვი უარჰყოფს ნ. ნიკოლაძის პროექტს ერთა პროპორციონალურ წარმომადგენლობის შესახებ ქალაქის საბჭოში. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ბ. ნიკოლაძის მხოლოდ იმიტომ, რომ არ გვინდა, გარედან თავს მოახვიონ თვითმმართველობას პროპორციონალური წარმომადგენლობა, რადგან დიდათ ვაფასებთ დამოუკიდებლობას საკუთარის საქმეების მოწყობაში, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა-და-სხვა ეროვნულ ელემენტების შეტაკებას, ამით ისინი მაგრდებიან, ვითარდებიან, თვითცნობიერდებიან, მაგრამ თუ ერები თავის ნებით მივლენ იმ დასკვნამდის, რომ საჭიროა პროპორციონალური წარმომადგენლობაო, ჩვენ სრული მომხრე ვიქნებით ასეთის მიმართულების. ბ. თუმანოვი წინააღმდეგია ნ. ნიკოლაძის პრინციპის იმიტომ, რომ 1) ახლაც ცოტა გვყავს განათლებული და მუშა ხმოსნებიო და აქ სისტემის შემოღებით კი სრულიად შევიწროვებულნი ვიქნებით საჭირო პირების არჩევის დროსო. ჩვენ სწორედ გვეძნელება ამ აზრის განმარტება. ის ხომ არ უნდა სთქვას ავტორმა, რომ სომხებში შეიძლება მშრომელი კაცების შოვნა და სხვა ერებში არაო? არ ვიცით, ჩვენ ვერავინ ვერ დაგვარწმუნებს, რომ ქართველებს არ შეეძლოთ ტფილისში თავიანთ შორის 20—25 ისეთის ხმოსნის გამონახვა, რომლებიც სხვებზე ნაკლები არ იყვნენ, 2) პროპორციონალური წარმომადგენლობა კანონმდებელს არ დააკმაყოფილებსო, სწერს ბ. თუმანოვი. აბა. კანონს რა დარდი აქვს იმის, 10 ქართველი ხმოსანი იქნება არჩეული საბჭოში, თუ 20—25. კანონს ამის დარდი არა აქვს, თვითონ ერებისთვის-კი სასარგებლო იქნებოდა: ყველანი თანასწორად მიიღებდენ მონაწილეობას **თვითმმართველობაში**. 3) მმართველობაში აუცილებელია ელემენტების ერთგვარობა, ერთსულობა, ისე საქმე ვერ წავა წინ ენერგიულადო; ამიტომ როდესაც მეხანიკურად (ჩამომავლობის მიხედვით) შეგვყავს მმართველობაში სხვა-და-სხვა ელემენტები, მაშინ უფრო გავამწვავებთ განხეთქილებასო. ბ. თუმანოვის აზრით გამოდის რომ სხვა-და-სხვა ერების წარმომადგენელთა ერთად მოქმედება ყოვლად შეუძლებელი ყოფილა; მაშინ ის-ღა დაგვრჩენია, რომ მმართველობა მარტო ერთ-ერთ ერს დავუთმოთ. ჩვენ-კი გვგონია, რომ ქართველებს, სომხებს, თათრებს და სხვებს ყოველთვის შეეძლებათ საერთო ქალაქის ინტერესებისათვის შეერთება და თანხმობით მოქმედება. ეროვნული სხვა-და-სხვაობა ჩინური კედელი ხომ არ არის?

ეროვნულის უთანხმოების „მოსასპობლად“ პატივსცემული ავტორი სომხებს და ქართველებს სრულს გადაგვარებასაც-კი სწამებს, რისთვისაც მოჰყავს ერთის ოსმალურის გაზეთის კორესპონდენცია: „განათლებულმა სომხის ახალგაზდობამ არ იცის თავისი დედა-ენა და ლაპარაკობს მხოლოდ რუსულად... ქორწილობა სომხებს და რუსებს შორის ისე გახშირდა, რომ ასობით შეხვდები ადამიანი მართლ-მადიდებელ გვარებს „იანცით“ და „ტერით“... სომხის ქალები, რომლებიც გიმნაზიებსა და ინსტიტუტს ათავებენ, უმეტესად რუსებს მიჰყვებიან ცოლებად და სომხის მამაკაცებიც უფრო სიამოვნებით ირთავენ რუსის ქალებს, ვიდრე სომხისას... პატრიოტული გრძნობა ძლიერ სუსტია რუსეთის სომხებში“. ამგვარსავე სურათს წარმოადგენენ თურმე ქართველებიც. ყოველი კავკასელი, ამბობს ბ. თუმანოვი, ოცნებობს გაევროპიელებას, რაც კი თავისთავად იწვევს ეროვნულ თავისებურობის დაკარგვას. ყველაფერი ეს ასე რომ იყოს, მაშინ დავობაც არაფერზე იქნებოდა, მაგრამ ნამდვილად არც გაევროპიელება ჰნიშნავს ეროვნულს გადაგვარებას და არც კავკასია მიისწრაფვის ასეთს გადაგვარებისაკენ.

როგორც თანხმობის მომხრე, ბ. თუმანოვი ცდილობს მიუდგომლობას, რომ ყველანი ერთნაირად განსაჯოს, მაგრამ მაინც ეტყობა სომხებისაკენ მიდრეკილება. ეს ცხადათ სჩანს, როდესაც იგი ეხება ტფილისის უკანასკნელის წლების საბჭოს. აქ ძალა-უნებურად ეწინააღმდეგება თავის თავს: ხან აქებს ინტელიგენციას, რომელმაც ევროპაში საუცხოვოდ მოაწყო ქალაქის საქმეები (გვ. 57) და ამბობს, რომ „დიდი უმრავლესობა ჩვენის ხმოსნებისა უმაღლესის განათლების

ფიცხელაური ნიკ., ფოცხვერია ბართლ., ხელაძე პარტ.; ტხადაძე იპოლ.

◆ საქალაქო **ხორცის დუქანს** დაარსებიდან დღემდე შემოჰსვლია დაახლოვებით— 10,000 მანეთამდე. დუქანი სულ ერთი თვე იქნება, რაც მოქმედებს.

◆ მადათოვის კუნძულზე, გულისპოვებისეულ სახლებს იმ ადგილას, სადაც დუქანი ჰქონდა გამართული გუგუშვილს, გუშინ-წინ, 7 ივნისს, საღამოს 8 საათზე, გაუჩნდა ცეცხლი. დუქანში ამ დროს ყოფილა ნოქარი ჩაჩავა, რომელსაც დროზე ვერ შეუნიშნავს გამსკდარ ლამპიდან გაჩენილი ცეცხლი. რადგანაც დუქანში ადვილად მოსაკიდებელი საქონელი ელაგა, ცეცხლი მსწრაფლ მოედო მთელ დუქანს. ცეცხლის მქრობელთა რაზმი მალე მოვიდა და ცეცხლი ათს წუთში ჩააქრო. ცეცხლის მქრობელ რაზმს ხელმძღვანელობდა ტფილისის პოლიციმეისტერი კოვალიოვი. კარგი კიდევ, რომ მყუდრო საღამო იყო, თორემ ამ ადგილას სულ ხის დუქნებია და ხელად გადაიწვოდა. გუგუშვილს, როგორც თვითონ განუცხადებია, 10,000 მანეთი უზარალნია. დუქანი დაზღვეული ყოფილა 7,500 მან. ჩრდილოეთის დამზღვევ საზოგადოებაში. ცეცხლისაგან საგრძნობლად დაზიანდნენ გუგუშვილის დუქნის გვერდით მატინიანცის იარაღისა და სარქონოვის ქაღალდის დუქნები, რომელნიც დაზღვეულნი ყოფილან.

◆ გუშინ, 8 ივნისს, ტფილისში ძლიერი ქარი ამოვარდა. ქუჩაში ქარმა ისეთი მტვრის კორიანტელი ააყენა, რომ ქუჩაზე გავლა უჭირდა კაცს. მთელ ქალაქში ერთი ქუჩა არ არის რიგიანად დასუფთავებული, რის გამო მტვერი უქაროდაც დიდია ხოლმე.

◆ პოლიციის 1 ნაწილში, ეგრედ წოდებულ ლაბორატორნი სლაბოდკაში მცხოვრებთ ელიზბარ ენუქიძესა და იაკობ ჩუბინიძეს რალაცაზედ მოსვლიათ ჩხუბი, რომლის დროსაც მძიმედ დაუჭრიათ ხანჯლებით ერთმანერთი. დაჭრილნი მიხეილის სამკურნალოში იქმნენ გაგზავნილნი.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ საგუბერნიო მთავრობამ განკარგულება მოხდინა, რომ სოფ. ცაგერისაკენ (ლეჩხუმის მაზრა) საფოსტო გზა ამას იქით ქუთაისიდან ხონზე წავიდეს.

დღემდე საფოსტო გზა ქუთაისიდან ლეჩხუმისაკენ მიდიოდა ჯერ რაჭის გზით და მერე ლაჯანურის ხეობით ცაგერისაკენ. ახალი მიმართულება საფოსტო გზისა ასე იქნება: ქუთაისიდან ხონზე წავა, აქედან სოფ. მათხოჯზე მივა, მერე ცხენის წყალზე ბუმბუას (ძველებური პომპეას) ხიდით გაივლის და მივა სუმაჰახოს, აქედან სოფ. გორდს, ლვედს და ბორონწინას გაივლის და ცაგერს მივა.

ამ გვარად ახალი საფოსტო გზა სამს მაზრას ემსახურება: ქუთაისისას, სენაკისას და ლეჩხუმისას. როგორც გვითხრეს, მთავრობის განკარგულებით ზოგან კიდეც დაუწყიათ გზების კეთება.

∽ ქუთაისის პოლიცმეისტრად ყოფილის სვიმონოვის მეორე საქმე, რომლის გამომძიებული საბუთები ამას წინად დაკარგულიყო სასამართლოდან, კიდევ აღუდგენიათ და ქუთაისის საოლქო სასამრთლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლისათვის დაუვალებიათ ამ საქმის წარმოება.

∽ დღეს, 9 ივნისს, ქუთაისში დანიშნულია 1902—1906 წლებისათვის ხმოსანთა არჩევანი. არჩევანი ქალაქის თეატრის დარბაზში უნდა მოხდეს.

∽ იმერეთისაკენ ამ უკანასკნელ დღეებში მეტად დიდი სიცხეები დაიჭირა.

∽ ქუთაისის საქალებო საპროფესიონალო სასწავლებლის გამგეს ქ-ნ კორძაიასას მეტად სიმპატიური საქმე მოუწადინებია: ამ ზაფხულში ენკენისთვემდე სასწავლებლის სადგომში ჭრა-კერვის კურსები უნდა შემოიღოს ეს განზრახვა კიდევაც შეუსრულებია ქ-ნ კორძაიასას: ამ თვის ექვს რიცხვიდან უკვე შეუდგა მსურველების მიღებას. სასწავლებელი თფილისის ქუჩაზე იმყოფება.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

(5 **ივნისის სხდომა**)

კრება გაიხსნა საღამოს 9 საათზე, ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით.

თავმჯდომარემ საბჭოს მოახსენა ქუთაისის წყლისაყვანის საქმეების ვითარება. ამ წლის 18 და 19 თებერვლის დადგენილების თანახმად, გამგეობას 22 შენიშვნა მიეცა კონტრაგენტისათვის წყლისაყვან საქმეების მოწესრიგებისა. ამაზე კონტრაგენტს თავისი პასუხი წარმოუდგენია გამგეობაში და გამგეობასაც ყველა ეს მასალა სპეციალისტთა კომისიისათვის გადაუცია განსახილველად. კომისიასაც განუხილავს მთელი საქმე და ვრცელი მოხსენება წარუდგენია გამგეობისათვის. ამის წაკითხვას მთელი საათ-ნახევარი მოანდომა თავმჯდომარემ. კონტრაგენტი ბ-ნი მიხაილოვი, რომელიც ამ საღამოს კრებას დაესწრო, კომისიის დასკვნასა და გამგეობის წინადადებას თითქმის სრულიად ეთანხმებოდა, მხოლოდ უარი განაცხადა მეორე რეზერვუარის გაკეთებაზე „სათიბხია“-ში; ამის გამო ხმოსანთა შორის დაუსრულებელი კამათი ასტყდა; შუა დამემდე ამ საგანს უტრიალებდნენ ჩვენი ხმოსნები და ერთსა და იმავეს რამდენჯერმე გადააბრუნებდნენ ხოლმე. ყველა ისე დაიღალ-დაიქანცა, რომ თავმჯდომარესაც და ხმოსნებსაც ლაპარაკის ჭარაქათი აღარ შერჩათ. როგორც იყო, დაიყოლიეს ბ-ნი მიხაილოვი და კრებამ დაადგინა, დავავალოთ კონტრაგენტს, თუ საჭიროება მოითხოვს, მეორე რეზერვუარი (აუზი) გააკეთოს „სათიბხია“-ზედ.

ამ აუზში უნდა მოიკრიბოს ას-ორმოც-და-ათიდან ორას-ათას ვედრამდე წყალი.

შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა იმავე კონტრაგენტის მიერ აღძრული თხოვნა: ბ-ნი მიხაილოვი თხოულობს სახელმწიფო მამულების სამმართველოს წინაშე ვითხოვოთ ჭომას მდებარე სახელმწიფო მიწების იჯარით აღება, რადგან ამ ადგილას უნდა აშენდეს წყლისაყვანისათვის საჭირო შენობები. სახელმწიფო მამულების მმართველობას შესაძლებლად უცვნია ადგილების იჯარით მიცემა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ქალაქმა თითონ თავს იდოს საიჯარო ფულის თავ-თავის დროზე შემოტანა.

საბჭომ თანხმობა გამოაცხადა ამაზე.

ამის შემდეგ უნდა აერჩიათ დამფასებელთა და 1901 წლის გამგეობის მოქმედების განმხილველ კომისიების წევრები, მაგრამ გვიან-და იყო და კომისიის წევრთა არჩევა ვეღარ მოასწრეს.

ძველმა საბჭომ წყლისაყვანის საკითხის დაბოლოვება მაინც მოასწრო. ეხლა მხოლოდ ის-და დარჩენიათ, რომ მუშაობას შეუდგეს კონტრაგენტი.

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება 1902 წელს

(3 **ივნისის სხდომა**)

კრება გაიხსნა 12 საათზე გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავმჯდომარეობით. წაკითხულ იქმნა წინა დღის კრების ოქმი, რომელიც, ზოგიერთი შენიშვნებისა და შესწორების შემდეგ, დამტკიცდა.

ს. თ. ხუნდაძე თხოულობს, რომ ოქმები უფრო ვრცლად იწერებოდეს და ქართულად იბეჭდებოდეს, რომ მომავალ წელში საზოგადოებამ გაიხსენოს მათი საშუალებით, თუ რის შესახებ გვაქვს წელს სჯა-ბაასი, რა მოგვწონს, რასა ვგმობთ, რას ვადგენთ, რის შესრულებას ვაკისრებთ გამგეობას და სხვა, თორემ გაისამდის ჩვენ ყველაფერი დაგვავიწყდება, რასაც დღეს ვაკეთებთ. მასთან უსაჭიროესად მიმაჩნია კრებაზე ქართულად იყოს სჯა-ბაასი, რომ კიდევ არ ჩავდგეთ ისეთ უხერხულ მდგომარეობაში, როგორშიაც გუშინ ჩავდექით. გუშინ, მაგალითად, ზოგიერთი ორატორების მჭევრმეტყველების ზეგავლენით საზოგადოებამ უარჰყო გამგეობის წინადადება იმის შესახებ, რომ ყოველ წლიური თავნი ვალის გადასახადი 1$^0/_0$ $^3/_4$$^0/_0$-ად იქნეს შეცვლილი. რამოდენსამე წამს შემდეგ კი იგივე საზოგადოება განაცხადებს, ხელახლად გაარჩიეთ ეგ კითხვა, რადგან რუსულად ნალაპარაკები ჩვენ ვერ გავიგეთ და შევცდითო; და აი, ამ კითხვაზე დღეს ხელახლად უნდა ვიმტვრიოთ თავი. პირველადვე რომ ქართულად ყოფილიყო სჯა. ამის შესახებ, ჩვენ ეს არ მოგვივიდოდა.

გამგეობის თავჯდომარე [illegible] შჟლნიკოვი: მე სრულიად სამართლიანად მიმაჩნია ბ. ხუნდაძის საყვედური. საჭიროა საზოგადოება თავის დედა-ენაზე ლაპარაკობდეს და შეგნებით სწყვეტდეს ყოველ კითხვას და არა სხვისი ფეხის აყოლით. მართალია, მე ქართული არ ვიცი, მაგრამ ეს იმდენად საქმეს არ აბრკოლებს: ჩემმა ამხანაგებმა (დირექტორებმა) იციან ქართული, მისი ბრწყინვალებაც (ს. ნ. ლორთქიფანიძე) კისრულობს გადამითარგმნოს რუსულად, რის გაგებაც ჩემთვის საჭირო იქნება. მე არ მსურს ჩემი გულისათვის საზოგადოება გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდეს და შეცდომები ჩაიდინოს. საზოგადოება გაუწყნარებელი ტაშის ცემით მადლობას უცხადებს ორატორს. (აქვე ფრჩხილებში შევნიშნავ, რომ არც კი გაწითლდნენ ის პირნი, რომელნიც გამგეობის თავმჯდომარის ქართულის უცოდინარობას საბუთად იხვევდნენ თითზე და უარჰყოფდნენ ბ. ხუნდაძის სამართლიან თხოვნას).

თავჯდომარე ხელახლად აყენებს კითხვას ყოველწლიური გადასახადის 1-$^0/_0$ 3/40/0-ად შეცვლის შესახებ.

გ. ს. თაყაიშვილი: თუ რამ საბუთი აქვს ზედამხედველ კომიტეტს და $^0/_0$-ის დაკლების მსურველთ, წარმოგვიდგინონ, ციფრებით დაგვანახვონ ამ დაკლების საჭიროება, რომ ერთი და იგივე არ ვიმეოროთ.

თ. დ. გ. წულუკიძე: ჩემი სიმპატია გამგეობის წინადადებისკენაა, მხოლოდ ვშიშობ $^0/_0$$^0/_0$-ის დაკლებით საფრთხეში არ ჩავარდეს ჩვენი სასწავლებელი, ეს ერთად-ერთი წყარო ჩვენის ღარიბ თავად-აზნაურების შვილების აღზრდისა. თუ შეიძლება სკოლის შესანახავად ავანსად მივიღოთ ფული, მაშინ მე გამგეობის წინადადების სრული თანახმა ვარ.

მ. გ. დარახველიძე: ჩემის ფიქრით, ყველას ის ემჯობინება, ის შეღავათიანი პირობები მოვუპოვოთ ჩვენს ბანკს, რაც ტფილისისას აქვს, რომლის წყალობითაც ჩვენი საუკეთესო მამულები ტფილისის ბანკში გადადის. ხომ გაგიგონიათ, მეძვირე ვაჭარს მუშტარი არ მიეკარებაო. თავად-აზნაურობას რომ ბევრი მოთხოვნილება ჰქონდეს, ყველაფერს ბანკი კი ვერ დაუკმაყოფილებს. ბანკი მარტო თავად-აზნაურობის კი არაა, სხვების წვლილიც შედის შიგ. პირობები გავაუკეთესოთ, მუშტრები მოვიზიდოთ და მაშინ ერთი-ორად მოგებული დავრჩებით.

გ. ს. თაყაიშვილი: დიდი სიამოვნებით მივიღებდი გამგეობის წინადადებას, რომ შესაძლებელი იყოს ამ მდგომარეობაში მაინც. ვინ იქნება იმის წინააღმდეგი, რასაც ბ. დარახველიძე ბრძანებს, ბანკს შეღავათიანი პირობები მოვუპოვოთო. მაგრამ რა შესადა-

---

პირები არიან; ესენი არიან უმრავლესად არა ვაჭრები, მექარხნეები და რენტიები, არამედ შრომის კაცები, თავისუფალ პროფესიის კაცები ან ინტელიგენტური მოხელეები. ტფილისის დღევანდელი საბჭო სჯობია არამც თუ სხვა პროვინციის საბჭოებს, არამედ თვითონ ტფილისის წინანდელს საბჭოებსაც“. ჩვენი ავტორი ძაან უწყრება იმათ, ვინც ტფილისის ხმოსნებს საერთოდ ყველას პლუტოკრატებს უწოდებს: „ეს შაბლონობაა, ფრაზერობა და უსამართლობაცო“. (11—12). ამავე აზრისა ბ. თუმანოვი მეორე ალაგასაც (54), სადაც იცავს ხმოსნების რაიონებად არჩევას: ქალაქი რომ 3—4 საარჩევნო რაიონად გავყოთ, მაშინ ყოველს რაიონს საყოფნად ეყოლება ინტელიგენტები ხმოსნებად ასარჩევადო (ასე არ იქნებოდა, თუ ქალაქი 10 რაიონად დაიყოფებოდა, მაშინ განაპირა უბნებში ინტელიგენტ-ხმოსნების ამორჩევა გაჭირდებოდაო).

თუმცა ჩვენი საბჭო ინტელიგენტურია, მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ ამ ინტელიგენტობით ქალაქის საქმეებს წარმატება არ ეტყობა, პირ-იქით ქალაქის მეურნეობა უკან და უკან მიდის. ინტელიგენტობა კაი სახელი ყოფილა, მაგრამ სახრავს არაფერს იძლევა. ეს არ შეეძლო არ დაენახა ბ. თუმანოვს. ზემო მოყვანილს სიტყვებს სწერდა იგი 1899—97 წ. 1892—96 წ.-ის წერილებში კი ამბობს: მთელი ჩვენი უბედურება ჩვენ სიღარიბეში კი არ არის, არამედ პლუტოკრატიის გამარჯვებაშიო“ (167). „ჩვენ ვირჩევთ ხმოსნებად მხოლოდ შეძლებულ და წარჩინებულ თანამდებობის, ადგილის კაცებს, მაშინ როდესაც, ქალაქის საქმეების კარგად წასაყვანად სრულებით არ არის საჭირო ეს თვისებები... ამ საქმეების გასაგებად და კარგად მოსაწყობლად მაინდამაინც საჭირო არ არის უმაღლესი განათლებაც. აქ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პატიოსნად მოეკიდოს ადამიანი საქმეს. ამიტომ ხშირად საერობო კრებაზე წერა-კითხვის არა მცოდნე გლეხი უფრო სასარგებლოა, ვიდრე ინტელიგენტი მდიდარი (167—8)“. ეს ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზრები თუმცა სხვა-და-სხვა დროს არის ნათქვამი, მაგრამ ამ სხვა ღ სხვაობას საქმის ვითარების ცვლილებით ვერ ავხსნით. 1897 წ. საბჭო უფრო ინტელიგენტური შეიქმნა, მაგრამ ინტელიგენტური იყო 1893 წლის საბჭოც. მეორეს მხრით არ გაუმჯობესებულა 92—96 წლებთან შედარებით ქალაქის მეურნეობაც. თვითონ ბ. თუმანოვი სწერს 1895—98 წელს, „რომ ქალაქს არა ჰყავს პატრონები და ამიტომ შესაძლებელია დაჰკარგოს მთელის კავკასიის ცხოვრების ცენტრის მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა წინად... ჩვენს ქალაქს დღემდის არ უსარგებლია თავის ცენტრალურ მდებარეობით, რომ განავითაროს ვაჭრობა და მრეწველობა; ქალაქმა ვერ შესძლო გამხდარიყო გონებრივი ცენტრი კავკასიისა. ძლიერ სუსტი იყო მისი სურვილი უმაღლესის სასწავლებლის გახსნისა. არაფერი სერიოზული არ გაუკეთებია მას ჩვენის ბუნებრივის სიმდიდრის—მადნეულ წყლების ექსპლოატაციისათვის (210).“ პატივცემული ავტორი დაგვეთანხმება, რომ ეს სურათი 98 წ. შემდეგაც არ შეცვლილა და ქალაქის საქმეები დღესაც სანუგეშოს არაფერს წარმოადგენს.

ასეთი უთანხმოება აზრებისა ერთ-და-იგივე საგნის შესახებ, ჩვენის აზრით, აიხსნება ავტორის გაუბედაობით, „ნაციონალიზმის“ შიშით. ის რომ მეტი რადიკალი ყოფილიყო, აქაც გადაჭრით და აშკარად აღნიშნავდა, რაც არის. ქალაქის მეურნეობის დაცემა სადავო საგანი არ არის. მაგრამ იმასაც არავინ იფიქრებს, რომ ამის მიზეზი სომხები არიან. არა, აქ უმთავრესი ბრალი სწორედ ქალაქის თვით-მმართველობაში პლუტოკრატიის გამარჯვებას ედება. უეჭველია სხვა-და-სხვა ერების წარმომადგენელთა საბჭოში შეკრება საქმეს გამოაფხიზლებს, სხვა-და-სხვა ელემენტები ერთმანეთს გაეჯიბრებიან, ერთმანეთს თვალ-ყურს ადევნებენ, ღ ყველაფერს უკეთესობა დაეტყობა.

ერთს მნიშვნელობიან საგანს კიდევ ეხება ბ. თუმანოვი, რომელსაც უთუოდ უნდა მივაქციოთ ყურადღება, ეს არის მაჰმადიანების მონაწილეობის მიღება ქალაქის თვითმმართველობაში. 1892 წ. საქალაქო დებულების ძალით მაჰმადიან ხმოსანთა რიცხვი არ უნდა ყოფილიყო ხმოსნების საერთო რიცხვის ერთს მეხუთეზე მეტი; 1900 წ. ეს კანონი გაფართოვდა,—მაჰმადიანების რიცხვი შეიძლება ახლა საერთო რიცხვის ნახევრამდის ავიდეს. ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ბ. თუმანოვის აზრს, რომ საჭიროა, მაჰმადიანებს მიეცეთ თანასწორი უფლება სხვებთან ერთად. კავკასიელმა ერებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავგმოთ ერთმანეთის შთანთქმის და გადაგვარების ფიქრი. ეს სრულებით ჩვენი საქმე არ არის (არც სხვების!). რაც უნდა პატარა ეროვნულმა ჯგუფმა გამოაცხადოს სურვილი თავისებურობისა, იგი ჩვენ უნდა აღვიაროთ ჩვენისთანა სრულ უფლებიან საზოგადოებათ, და არასოდეს არ უნდა ვინდომოთ ვისიმე უფლების შელახვა დი შეზღუდვა. სრული პატივისცემა ერთმანეთისადმი! ეს უნდა იყოს ჩვენი პირველი დევიზი

ჩვენის ავტორის წიგნში სხვა წერილებიცაა—ქალაქის ფინანსების, ცხენის რკინისგზის გამოყიდვის, პოლიტეხნიკუმის, საურთიერთო დაზღვევის შესახებ, მაგრამ ჩვენ მათ არ ვეხებით, რადგან აზრადა არ გვქონია წიგნის სავსებით გარჩევა.

დასასრულ უნდა განვიმეოროთ, რომ ბ. თუმანოვის წადილი ერთა ერთობის შესახებ მეტად პატივსაცემია და ყოველმა ჩვენგანმა მხარი უნდა მისცეს მას ამ საქმეში, მაგრამ მისი საშუალება კი საგნის განსახორციელებლად უვარგისად მიგვაჩნია: ერთა ერთობის მოახლოვებას დააბრკოლებს როგორც დღევანდელის ეროვნულის უთანხმოების და განხეთქილების უზომოდ გაზვიადება, აგრეთვე ამის სრული უარყოფა.

გალამი.

◆

რებელია ქუთაისისა და ტფილისის ბანკები; უკანასკნელმა მხოლოდ მაშინ დაუკლო ყოველ წლიურ გადასახადს, როდესაც უკვე 20,000,000 მანეთს ატრიალებდა. შეიძლება, ტფილისის ბანკში დაგირავებული ქუთაისის მამულები ჩვენს ბანკში გადმოვიდეს, მაგრამ იმის თქმა კი არ შეგვიძლია, რამდენი გადმოვა, შეეძლება ამ გადმოსულს ან ახალ დაგირავებულ მამულებს დანაკარგის შევსება, თუ არა; კიდეც რომ შეავსოს, ეს მაინც არ კმარა: ბატონებო! ჩვენი ბანკის ხარჯები ყოველ წელს მატულობს და თქვენ გინდათ მისი მოგება ერთ წერტილზე შეაჩეროთ? თუ სკოლას ხარჯი ავანსად ვაძლიეთ, მთავრობა იმას გვეტყვის, ჯერ მოიგეთ და მერმე ხარჯეთო. ყოველ შემთხვევაში ჯერ ვითხოვოთ რაიონის გაფართოვება, დაბებისა და მათი მსგავსი სოფლების შემატება, იმდენი სესხის გაცემის ნება, რამდენიც ჩვენი ბანკისთვის შესაძლებელი იქნება და შემდეგ, თუ დავრწმუნდებით, 0/00/0 დაკლებით ბანკი მოიგებს, აი, მაშინ ჩვენც დავუკლოთ. გავიმეორებ, ეს მძიმე კითხვაა და კარგად უნდა აწონ-დაწონვა და საქმის გათვალისწინება. ორატორს ტაშის ცემით აჯილდოვებენ.

თ. ქ. ბ. დორთქიფანიძე: პრინციპიალურად მე პროცენტების დაკლების მომხრე ვარ, მაგრამ მაკვირვებს ზოგიერთების მოსაზრება. მილიონობით გავცემთ სესხს, გავმდიდრდებით და მაშინ ყოველ მოთხოვნილებას დავიკმაყოფილებთო, თუ ასე იქნა, კარგი დაგემართოთ, მაგრამ რომ ვერ გავცეთ ამდენი სესხი და ვერ გავმდიდრდეთ, მაშინ ხომ ჩვენი გულ-უხვობა „ენუქას ანდერძს“ დაემსგავსება. ყველაზე უფრო დამაბრკოლებელი მიზეზი ჩვენი ბანკისთვის ეხლა ისაა, რომ ბირჟაზე გირავნობის ფურცლების კურსი ძლიერ დაცემულია. პირობებიც რომ გავათანასწოროთ, ტფილისის ბანკიდან ჩვენს ბანკში მაინც არ გადმოვა მამული, რადგან ყოველ ას მანეთზე უნდა ათი მანეთი დაკარგოს მემამულემ. მე ვშიშობ, ვაი თუ დღევანდელი კრიზისი დიდხანს გაგრძელდეს და ბანკმა მეტი ზარალი ნახოს, ვიდრე მოგება.

თ. ი. აბაშიძე: ჩვენს სკოლაში ისეთი ღარიბი თავად-ზნაურების შვილები იზრდებიან, რომელთაც არც დასაგირავებელი აქვთ რამე და არც გადასაგირავებელი. მათთვის პროცენტების დაკლებას არავითარი სარგებლობა არ ექნება, რადგან სკოლას არსებობის სახსარი მოაკლდება. რაც შეეხება მსესხებელთ, ვაჭრებს, ესენი ჩვენი ბანკისთვის ცოცხალი ძლიერი ძალაა. მათ იმით არაფერი გაუჭირდებათ, რომ ას მანეთზე 1/4 პროცენტი გადადონ ჩვენი სკოლისათვის. სკოლის არსებობა კი როგორც თავად-აზნაურების, ისე ყველა მსესხებელთა ინტერესს შეადგენს.

თ. მ. გ. ფაღავა: ჩვენი ბანკის ცუდი მდგომარეობის გამოსაბრუნებლად ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი იქნება 3/4 პროცენტიან გადასახადის შემოღება, რაც სხვა ბანკებში დიდი ხანია არსებობს. ჩვენ თამამად შეგვიძლია გავცეთ 1.300,000 მან. სესხი. იმას კი აღიარებთ, პროცენტების დაკლება საჭიროაო, მაგრამ იმასაც ამბობთ, ჯერ მოვიცადოთო. სანამდის უნდა ვიცადოთ ასე? მართალია, პროცენტების დაკლებით ერთხნობით შემოსავალი მოგვაკლდება, მაგრამ შემდეგში ერთი ორად დაგვიბრუნდება დანაკარგი.

საზოგადოება თხოულობს კითხვას კენჭი ეყაროს.

(გაგრძელება იქნება)

უცხოეთის წვრილი ამბები

ფრანგის ჭორიკანები. ფრანგული გაზეთები ერთს ამბავს გადმოგვცემენ, რომელიც ამ დღეებში პარიზში გაარჩიეს.

პოლიციის კომისართან პარიზის ერთი უბნიდან ეხლახან სამი დედაკაცი მივიდა ძალიან აღელვებულები და ერთის ხმით განუცხადეს, რომ იმათმა მეზობელმა ქალმა ჟულიეტამ ბ. ეს არის ეხლა საზარელი დანაშაულობა ჩაიდინაო. თავიანთ სახლის ფანჯრებიდან, რომლებიც ქ-ნ ბ-ს ფანჯრების პირდაპირ არის, დაუნახავთ, რომ ქ-მა ჟულიეტამ და იმისმა მოტრფიალემ ადუღებულს ქვაბში ჩააგდეს თავის ექვსი თვის ბავშვი.

— ჩვენ ეს ჩვენის თვალითა ვნახეთ. ქალმა ბავშვი ქვაბში ჩააგდო, კაცი კი იცინოდა,—ამტკიცებდენ ისინი.—ეს რაღაც პირუტყვები და ნადირები ყოფილან და არა ხალხი!

კომისარმა მოისმინა და ჩაიწერა სამი დედაკაცის ჩვენება, ადგა და იმავ წამში გასწია, სადაც უბედურება მომხდარიყო. შევიდა ქ-ნ ბ-ს სადგომში. ქალმა რა დაინახა კომისარი და თავის სამი მეზობელი ქალი, საშინელი ხარხარი აუვარდა და ყველასა სთხოვა სამზარეულოში წაჰყოლოდნენ, სადაც ცეცხლზე მართლა დიდი ქვაბი იდგა და ჩუხჩუხებდა, და საამო სუნს მოჰფენდა ოთახში.

— აი, ბავშვი სწორედ ამ ქვაბშია!—ერთხმად დაიძახეს სამივე ქალმა.

ჟულიეტამ, რომელიც კიდევ გულით ხარხარებდა აიღო ქაფქირი და ქვაბიდან ამოიღო დიდი ნაჭერი ხორცი.

— ეს გახლავთ ხბოს ხორცი... ხოლო ბავშვს არხეინად სძინავს თავის აკვანში; აგერა იმ ოთახში,-სთქვა ჟულიეტამ,—ბავშვი სრულიად მშვიდობით და კარგად არის. შემდეგ მოუბრუნდა კომისარს და აუხსნა:

— მე მინდოდა მეხუმრა, მაგრამ სულ ვერ წარმოვიდგენდი, თუ აქამდის მიაღწევდა საქმე! უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სამი პატივცემული მანდილოსანი მეტის-მეტი ცნობის მოყვარენი ბრძანდებიან. მე მუდამ მაგათ ზედამხედველობის ქვეშ ვიმყოფები. დილიდან საღამომდის ფანჯრებთან დგანან და გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებენ, რა ხდება ჩემს სახლში. ბოლოს რომ არ იქნა და არ, თავიდან ვერ მოვიშორე, ავდექი და გადავწყვიტე, ჭკუა მესწავლებინა მაგათთვის. ხბოს მთელი ბარკალი ვიყიდე, ჩავაცვი იმას ჩემი შვილის პერანგი და იმისივე არახჩინი დავხურე; შემდეგ, როცა დავრწმუნდი, რომ თვალ-ყურს ერთგულად მადევნებენ, მივუახლოვდი ქვაბს, ხორცი პირთან მივიტანე მითომ საკოცნელად გამოსათხოვებლად და ადუღებულს ქვაბში ჩავუძახე. იმედი მაქვს, რომ ეს გაკვეთილი რამე სარგებლობას მოუტანს ჩემს ძვირფასს მეზობლებს.

* *

საგულისხმო იუბილეი. ლონდონში მალე იდღესასწაულებენ შესანიშნავ იუბილეის. ასი წელიწადი სრულდება მას შემდეგ... რაც გძელი შარვლების ტარება შემოიღეს!

ასი წლის წინად გეორგ მეექვსემ, მაშინ პრინცმა—მმართველმა, საფრანგეთის ძირეულ პრინცებთან ერთად, რომლებიც მაშინ ლონდონში სცხოვრობდენ, შემოიღო გძელი შარვლის ტარება უწინდელის მოკლეს მაგივრად და პირველად თითონ ჩაიცვა. ეს ცვლილება კოხტაობამ და სილამაზემ კი არ გამოიწვია, არამედ ჰიგიენურმა მოსაზრებამ. ბევრს უმაღლესს პირთ ქარები ჰქონდათ, და მოკლე შარვლები უფრო ხელს უწყობდა გაციებას და სენს. ლონდონის მკერვალები და დერციკები აღტაცებაში არიან. რადგანაც გრძელი შარვლების შემოღება რუსეთსაც შეეხება, ამიტომ რუსეთის დერციკებიც აღტაცებულნი უნდა იყვნენ, და იმათაც უთუოდ უნდა იდღესასწაულონ „შარვლების“ იუბილეი!..

ნეტა ამის შემდეგ კიდევ რის იუბილეის გადაიხდიან?.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 ივნისი

პეტერბურგი. „კანონთა კრებულში“ გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული დადგენილება სახელმწიფო საბჭოსი მაგარ სასმელების სახაზინო გაყიდვაზე დაღისტნის ოლქში და ამ კანონის გავრცელებაზე ტობოლსკისა და ტომსკის გუბერნიებში და ყუბანის, თერგის, დაღისტნის და სემიპალატინსკის ოლქებში.

დღეს პეტერბურგში მოვიდა პრინცი კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგელი.

მიტავა. გოლდინგენში ბოლკოვნიკმა ტრეტოვიუსმა გახსნა მეაბრეშუმეობის კურსები, გამოწერილია 46,000 თუთის ხე.

მოსკოვი. მოსკოვის საგუბერნიო საერობო გამგეობის ცნობებით, ბაღების მოსავალი ძალიან კარგია, ხურმაც კარგს მოელიან.

ბაქო. ნავთის ფასებმა აიწია ფუთზე 9-10 კაპეიკამდე.

ირკუტსკი. ბოტანიკურ გამოკვლევისთვის ირკუტსკის გუბერნიაში, ბაიკალის იქითა მხრის ოლქში და მანჯურიაში მოვიდა პროფესორი ბოროდინი—მოვიდა ექსპედიცია პროფესორის კოროტნევის მეთაურობით ზოოლოგიურ გამოკვლევისთვის.

კალუგა. გაიხსნა სასოფლო სამეურნეო და საოჯახო მრეწველობის გამოფენა.

კოვნო. გუშინ უცნაური სანახავი გამოჩნდა: მთვარის ირგვლივ ცისარტყელა ევლო შინდი ფერისა; ამ სანახავმა ათ წუთს გასტანა.

პარიზი. ელჩი თავადი ურუსოვი შეუდგა საელჩოს საქმეების მართვას.

ბულგარიის გარეშე საქმეთა მინისტრი დანევი დღეს გაზეთ „ფიგარო“-ში იძლევა საყურადღებო ცნობებს, რომელთაგან ზოგიერთი მოგვყავს: „მთავრის წასვლა რუსეთში საგულისხმოერო მოვლენას შეადგენს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. სასახლეში, ოფიციალურს სფერებში და რუსის ხალხთა შორის ისეთი დახვედრა აღმოვაჩინეს, რომელიც სრულიად შეეფერებოდა ჩვენ გრძნობათ. მკვიდრი კავშირი გვაერთებს ჩვენ ჩვენს განმათავისუფლებლებთან“. მინისტრი უარჰყოფს იმ ხმას, ვითომც მალე ბულგარიას სამეფოდ აღიარებენ. შემდეგ, საფრანგეთში სესხის აღების გამო, დანევი ამბობს, რომ საფრანგეთის მთავრობამ სიმპატია და ნამდვილი დახმარება აღმოუჩინა ბულგარიას.

პარიზი. კამათი სენატში. სამხედრო სამსახურის შემოღება ორი წლის ვადით წინააღმდეგობას იწვევს პარლამენტში და მის გარეშე. გუშინ სენატში მეზიერი ამტკიცებდა, რომ, ვიდრე კადრები არ შესდგება, ცვლილებათა შემოღება სახიფათოაო. სენატორი გუდენი უპასუხებდა, რომ დღევანდელი ჯარების მილიციად შეცვლა უნდათო, რაიც ქვეყნის დაცვის საქმეს განსაცდელში ჩააგდებსო. გენერალმა მარკიზ გალიფემ „ჟურნალ დედება“-ში წერილი დაბეჭდა ორი წლის ვადის შემოღების წინააღმდეგ: ორი წლის სამსახურის შემოღების კანონი დამღუპველი იქნებაო, ის უარესად გახრწნის სამხედრო ძლიერებას, რომელსაც ყველა ხალხმა მხარი უნდა მისცეს, რომ არ დაეცესო.

8 ივნისი

ბელგრადი. უსკიუბის ეპისკოპოსად კურთხევა ფირმილიანისა სალონიკში ვერ მოხერხდა, რადგან ადგილობრივმა სასულიერო წოდებამ ეკკლესია არ მისცა ამისათვის. როგორც ამბობენ, პატრიარქს განზრახვა აქვს ათონის მონასტერში აკურთხოს ფირმილიანი.

კალუგა. დღეს გახსნეს ქალაქის თვითმმართველობისაგან მოწყობილი სანიმუშო სავასხო.

ადესა. ხაჯიბეის ლიმანისა და სამკურნალო სანატორიის აქციონერულ საზოგადოების წესდება დაამტკიცეს.

ლიუბლინი. ნათესები მთელ გუბერნიაში კარგია.

სემიპალატინსკი. გუბერნატორის ინიციატორობით აქ დაარსდა გიმნაზიის მოსწავლე ღარიბ ქალთა და ვაჟთა დამხმარე საზოგადოება.

ტომსკი. რამდენიმე კაპიტალისტი აარსებს ამხანაგობას ტომსკში ლითონისა და მეხანიკურ ქარხნის გასახსნელად.

პეტერბურგის ბირჟა 7 ივნისს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,10	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,75	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,60	
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2—6^1/_2$ $^0/_0$	
$4^0/_0$ სახელმწიფო რენტა	$96^1/_8$	გაყიდ.
$4^0/_0$-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$98^5/_8$	მყიდვ.
$4^1/_2{}^0/_0$ შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
$4^0/_0$ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
$5^0/_0$ 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	468	გაყიდ.
$5^0/_0$ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	359	„
$5^0/_0$ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	289	„
$5^0/_0$ ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$88^5/_8$	„
$4^1/_2{}^0/_0$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	„
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის $5^0/_0$ გირავნ. ფურც.	$89^3/_4$	„
$4^1/_2{}^0/_0$ გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის $6^0/_0$ გირ. ფურც.	—	
$5^0/_0$ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	170	„

გამომც. და პრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილის—პოემა ბაჩანასი.	მ. კ. — 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1 —
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1 50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	— 80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1 20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	— 50
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 15
დვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	— 50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	— 20

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ზ ი ს
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გვრის მოედანზე, ყაფანთან
იყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).
ტელეფონი № 754. (.წ).

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ